0203 2001
119-0-119 (УЗ)

საქართველოს პარლამენტის განცხადება

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 10 მარტისთვის დაგეგმილი ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ

სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე 2001 წლის 10 მარტს აპირებს ჩაატაროს ე.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

საქართველოს პარლამენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარება უკანონო და მიუღებელია, რადგან კონფლიქტის შედეგად ხელოვნურად არის შეცვლილი დემოგრაფიული ვითარება, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია აფხაზეთში მოსახლეობის (ძირითადად ქართველების) ეთნიკური წმენდის ფაქტი და დაგმობილია აგრესიული სეპარატიზმი, ხოლო საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტისა და 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებების თანახმად სეპარატისტული რეჟიმის მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი ცხადდება ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

საქართველოს პარლამენტი გაეროს, ეუთოს, დსთ-ის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელობის ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი ჯიუტად უგულებელყოფს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის მოსაგვარებლად მიღებულ რეზოლუციებს და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ

არაერთგზის კატეგორიულად გამოხატული პოზიცია – აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის დევნილობის ვითარებაში ჩატარებული ნებისმიერი დონის არჩევნები იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია.

საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების იმიტაციით სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აგრძელებს უნაყოფო მცდელობას მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში შეიქმნას დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებისა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის იმიჯი. ეს აქტი სხვა არაფერია, თუ არა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მორიგი ცინიკური ნაბიჯი ეუთოს ბუდაპეშტის (1994წ.), ლისაბონის (1996წ.) და სტამბოლის (1999წ.) უმაღლესი დონის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგების დაკანონებისა.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ასეთი თვითნებობა შესაძლებელი ხდება მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გარკვეული წრეების ფარული მხარდაჭერის გამო, რასაც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების პროცესი ჩიხში შეჰყავს.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს გაეროს, ეუთოს, ევროკავშირს, ევროპის საბჭოს, დსთ-ის წევრ ქვეყნებს, შესაბამისი შეფასება მისცენ აფხაზეთის ტერიტორიაზე 10 მარტისთვის დაგეგმილ უკანონო არჩევნებს და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მექანიზმები სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმზე და მის მხარდაჭერებზე ზეგავლენის მოსახდენად.

საქართველოს პარლამენტი

2001 წლის 1 მარტი.